სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/214

ქ. თბილისი 22 დეკემბერი 2023 წ.

მედიცინის ფაკულტეტის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნტის შესაბამისად და აკადემიური საბჭოს 2023 წლის 22 დეკემბრის სხდომის №01-05-02/34 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის - მედიცინის ფაკულტეტის საქმიანობა შეჩერებული იქნას დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მიღებამდე.
2. დადგენილება გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი) დადგენილების პირველი პუნქტის შესრულების უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების გატარების მიზნით.
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №6.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**